



**საერთო პირობების დანართ N23 - ანგარიშთა პაკეტში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:**

1. შეიცვალოს **პუნქტი 15.** და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
  - 15. SOLO ან Golden Lion (Golden Lion, Family Package Holder, Golden Lion Advanced) ანგარიშთა პაკეტით** მომსახურების ფარგლებში **ბანკი** შესაძლებლობას აძლევს **კლიენტს** ისარგებლოს შემდეგი დამატებითი მომსახურებით და მასთან დაკავშირებული პირობებით:
    - 15.1. Visa კონსიერჟის მომსახურება (გარდა **SOLO Family** და **SOLO X ანგარიშთა პაკეტით** მოსარგებლე **კლიენტისა**). ამასთან:
      - 15.1.1. Visa კონსიერჟის მომსახურებით სარგებლობისთვის აუცილებელია, რომ **კლიენტი** ფლობდეს აქტიურ, Visa საერთაშორისო საბარათე სქემაში ჩართულ Visa Platinum ან/და Visa Signature ტიპის **ბარათს**;
      - 15.1.2. **კლიენტი** ვალდებულია **ბანკის** მიერ დადგენილი ფორმით, დაადასტუროს Visa კონსიერჟის მომსახურების მიღების სურვილი;
      - 15.1.3. VISA კონსიერჟის მომსახურება ექვემდებარება ავტომატურ გაუქმებას იმ შემთხვევაში, თუ:
        - 15.1.3.1. **კლიენტის** კუთვნილი Visa Platinum ან/და Visa Signature **ბარათის** მოქმედების ვადის გასვლიდან გავიდა 2 (ორი) თვეზე მეტი პერიოდი;
        - 15.1.3.2. **კლიენტი** ნებისმიერი მიზეზით აღარ სარგებლობს **SOLO ან Golden Lion (Golden Lion, Family Package Holder, Golden Lion Advanced) ანგარიშთა პაკეტით**;
        - 15.1.3.3. ნებისმიერი მიზეზით შეწყდება გარიგება **ბანკისთვის** VISA კონსიერჟის მომსახურების **კლიენტისთვის** მიწოდების შესახებ, რომელიც გაფორმებულია **ბანკსა და მესამე პირს** შორის.
        - 15.1.3.4. **კლიენტის** მიერ VISA კონსიერჟის ფარგლებში მომსახურების მიღების ბოლო მოთხოვნიდან გასულია 3 (სამი) თვე.
2. დაემატოს **ქვეპუნქტი 17.** და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
  - 17. WM ანგარიშთა პაკეტში** შემავალი **FAMILY PACKAGE HOLDER ანგარიშთა პაკეტი** განკუთვნილია **GOLDEN LION, GOLDEN LION ADVANCED ანგარიშთა პაკეტით** მოსარგებლე **კლიენტების** მიერ განსაზღვრული ფიზიკური პირებისთვის. **FAMILY PACKAGE HOLDER ანგარიშთა პაკეტის** გააქტიურდება **კლიენტის** დავალებით ხდება **ბანკთან** შეთანხმებით **ბანკის** შიდა პროცედურების და წესების შესაბამისად.